პოზიტიური აღზრდის მეთოდების როლი მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის რეგულირებაში (ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტის მაგალითზე)

ნანა შედანია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური სამუშაოს ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ქ-ნ შორენა საძაგლიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის - პოზიტიური აღზრდის მეთოდების როლი მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის რეგულირებაში (ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტის მაგალითზე) - *ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგნილაურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელად მითებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

ნანა შედანია

28.06.2022

აბსტრაქტი

მსოფლიოს როგორც განვითარებად, ისე განვითრებულ ქვენებში დღემდე აქტუალურ საკითხად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობა. არაერთი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა ყველაზე ხშირად სახლში, ოჯახში ხდება, ის იწყება ადრეული ასაკიდან და ზოგჯერ გრძელდება მთელი ცხოვრების განავლობაში. ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს სოციალური მომსახურებები, რომლითაც სახელმწიფო ამცირებს ბავშვთა მიმართს ოჯახში ძალადობის რისკებს და ორიენტირებულია ბავშვთა კეთილდღეობაზე. სხვადასხვა ქვეყნებში მშობლებსა და შვილებს შორის არაპოზიტიური ურთიერთობის ძირითადი მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობაა. რაც შეეხება საქართველოს, ინფორაციის ნაკლებობსათან ერთად ძირითად მიზეზად სახელდება პრევენციული პროგრამების არ არსებობა.

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთბის რეგულირებაში პოზიტიური აღზრდის მეთოდების როლს (ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის ზუგდიდის ოჯახის გაძლიერების პროექტის მაგალითზე), რომელიც ეფუძნება პროგრამაში „მშობლობა ძალადობის გარეშე“ მონაწილეებთან ჩატარებულ კვლევის ანალიზს.

კვლევის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის რეგულირებაში დიდ გავლენას ახდენს პოზიტიური დისციპლინა და აღზრდის პოზიტიური მიდგომები, მეთოდები.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავებულია კვლევის ანალიზიდან გამომდინარე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პოზიტიური მშობლობა, არასათანადო მოპყრობა, ბავშვთა მიმართ ძალადობა.

Abstract

Violence-against children, remains a topical issue in both-developing and developed countries of the world. Numerous studies have shown that violence against children most often occurs at home, in the family. It begins at an early age and sometimes lasts throughout life. In some countries, there are social services, by which the state reduces the risks of violence against children and focuses on the welfare of children. The main reason for the non-positive relationship between parents and children in different countries is the lack of information. As for the lack of information about Georgia, the main reason is the lack of prevention programs.

The presenting paper deals with the role of positive parenting methods in regulating the relationship between parents and children (On the example of SOS Children's village Zugdidi Family Strengthening Project), which is based on the analysis of a study-conducted with participants in the program – "Parenting without violence".

The analysis of the research revealed that positive discipline and positive approaches and methods of parenting, have a great influence on the regulation of the relationship between parents and children.

The Final part of the paper presents the recommendations, which is based on the analysis of the research.

The main keywords: positive parenting, improper treatment, violence against children.